

კატასტროფების რისკის მართვის გლობალური ინიციატივა (GIDRM) თემზე დაფუძნებული მიდგომები რისკზე ინფორმირებული განვითარებისთვის

კონტექსტი

ექსტრემალურ ბუნებრივ მოვლენებს, გვალვებს და ზღვის დონის აწევას, ტექნოლოგიის ან ადამიანური ზეგავლენის შედეგად წარმოქმნილ საფრთხეებს ხშირად აქვს დამღუპველი გავლენა, იმ შემთხვევებში, როდესაც ადამიანებისა და ინფრასტრუქტურის მდგრადობა საკმარისად არ არის გაძლიერებული. სწრაფი ტემპებით მიმდინარე ურბანიზაციისა და მასზე თანდართული არასათანადო ჯანდაცვის, გარემოს დეგრადაციის, შესუსტებული სახელმწიფოებრიობისა და ძალადობრივი კონფლიქტების ფონზე, კატასტროფების რისკები უფრო მწვავე, რთული და მეტად ურთიერთდამოკიდებული ხდება. კლიმატის ცვლილება კიდევ უფრო აძლიერებს ამ ფაქტორებს.

კატასტროფები გავლენას ახდენს სხვადასხვა სფეროზე, როგორცაა საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ეკონომიკა, მმართველობა, ტურიზმი, კრიტიკული ინფრასტრუქტურა (მაგ. საავადმყოფოები, ტრანსპორტი, წყალი, კომუნიკაცია) და შეიძლება ჰქონდეს დამანგრეველი ეფექტი არსებულ უკვე დასუსტებულ არეალებში. მიმდინარე COVID-19 პანდემია ასახავს მსოფლიოს ყველა სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური სფეროსა თუ სექტორის მოწყვლადობასა და ურთიერთდამოკიდებულებას. პანდემიამ მრავალი ჯანდაცვის სისტემა კრიტიკულ ზღვრამდე მიიყვანა, ვირუსის სწრაფმა გავრცელებამ კი უზარმაზარი ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური წნეხი გაუჩინა თითქმის ყველა სექტორსა თუ სფეროს. მზარდი ურთიერთდამოკიდებულებები, კომპლექსური საფრთხეები და რისკები გვიქმნის გამოწვევას, ვიპოვოთ ახალი და უფრო გამძლე მიდგომები კრიტიკული ინფრასტრუქტურის უკმარისობის რისკის შესამცირებლად.

რისკების სირთულისა და მრავალფეროვნების შესახებ მზარდი ინფორმირებულობის მიუხედავად, ისინი ჯერ კიდევ არ არიან სრულყოფილად გათვალისწინებული



განვითარების ღონისძიებების დაგეგმვისა თუ ეროვნული სამოქმედო გეგმების მომზადებისას. კატასტროფები მოულოდნელად ანადგურებს მრავალწლიანი განვითარების წარმატებებს და ამცირებს ქვეყნების განვითარების შესაძლებლობებს. მიღწევები სიღარიბის შემცირების, დაავადებებთან ბრძოლის, ჯანდაცვის, განათლებისა და სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების კუთხით მყიფე და ახლად წარმოშობილი საფრთხეებისადმი მოუმზადებელია. სისტემური რისკების გაგებისა და მართვის უუნარობა საფრთხეს უქმნის მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგისა და კატასტროფების რისკის შემცირების სენდაის სამოქმედო ჩარჩოს (2015-2030) მიზნების მიღწევას.

ამჟამინდელი მიდგომები ხშირად პასუხობენ მხოლოდ ერთ საფრთხეს დროის ერთ მონაკვეთში, როგორც წესი, ბუნებრივ საფრთხეს, რამდენიმე ახალი გლობალური საფრთხის ან მრავალჯერადი, ერთდროულად წარმოქმნილი რისკის განხილვის ნაცვლად.

კატასტროფების რისკის მართვა კვლავ დიდწილად ორიენტირებულია კატასტროფებზე რეაგირებაზე და არა რისკების მინიმუმის მიზნით ჯვარედინი, პრევენციული მიდგომის გამოყენებაზე. გადაწყვეტილების მიმღებებს ხშირად აკლიათ საჭირო უნარები და შესაძლებლობები რისკებთან ადეკვატურად გამკლავებისთვის.

**სახელმძღვანელო პრინციპი:
რისკზე ინფორმირებული განვითარება (RID)**

რისკზე ინფორმირებული განვითარების (RID) შესახებ დებატები სულ უფრო აქტუალური ხდება საერთაშორისო ასპარეზზე. განხილვის საგანია განვითარების გაგება, რომელიც ითვალისწინებს ურთიერთდამოკიდებულ, დინამიურ, ტრანსსასაზღვრო და, ზოგიერთ შემთხვევაში, ერთდროული რისკების ფართო სპექტრს.

RID ძირითადი გზავნილები:

- (1) განვითარება ხდება რისკების რთულ და გაურკვეველ გარემოში - ამავდროულად განვითარების მიმდინარე გზები უფრო სწრაფად ქმნის რისკს, ვიდრე ჩვენ მათთან გამკლავება შეგვიძლია.
- (2) რისკი უნდა იქნას აღქმული, როგორც ურთიერთდამოკიდებული და სისტემური მოვლენა.
- (3) კატასტროფების რისკის შემცირება საკმარისი არ არის - ჩვენი განვითარების გზები რისკზე ინფორმირებულ გადაწყვეტილებებზე უნდა ავაგოთ.
- (4) მნიშვნელოვანია შესაძლებლობების გაძლიერებასა და ხელსაყრელი გარემოს შექმნაზე ზრუნვა, რისკზე ინფორმირებული გადაწყვეტილებების ხელშეწყობისათვის.
- (5) საზოგადოების ყველა წევრის მონაწილეობის ხელშეწყობა და უთანასწორობის აღმოფხვრა რისკზე ინფორმირებული განვითარების ქვაკუთხედი.
- (6) არ არსებობს უნივერსალური გეგმა - რისკზე ინფორმირებული განვითარება უნდა იყოს კონტექსტზე მორგებული, და იმდენად მოქნილი რომ მისი ხელახალი შეფასებისა და ადაპტირების საშუალება მუდამ არსებობდეს.
- (7) რისკზე ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება არის მდგრადი განვითარების წინაპირობა და მომავალი რისკის შექმნის თავიდან აცილების გზა.

GIDRM საქართველოში

საქართველოში GIDRM რისკზე ინფორმირებული განვითარებისთვის საჭირო ბაზისის შესაქმნელად მხარს თემსა და საზოგადოებაზე დაფუძნებულ მიდგომებს უჭერს. პროექტის მიზანია მოსახლეობისა და კრიტიკული ინფრასტრუქტურის უკეთ დაცვა რისკების გაუმჯობესებული აღქმისა და შეფასების გზით, რისკების სისტემური ბუნების გათვალისწინებით და რისკზე ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესების გაძლიერებით.

GIDRM ხელს შეუწყობს საქართველოს გარემოს ეროვნულ სააგენტოს (NEA) თანამშრომლების შესაძლებლობების განვითარებაში, რათა დამწყებმა პროფესიონალებმა უკეთ გაიგონ და მართონ საქართველოში მეწყრული რისკები. პროექტის ფარგლებში საქართველოს მაღალი რისკის ზონებიდან ერთ-ერთში, გვესოში (ცაგერი), მეწყერსაშიშროების მონიტორინგის უახლესი სისტემა დამონტაჟდება. გარდა ზემოაღნიშნულისა, პროექტმა საფრთხისა და რისკების შეფასებასთან დაკავშირებული არსებული საუნივერსიტეტო პროგრამების საბაზისო კვლევა ჩაატარა, რათა განისაზღვროს ხარვეზები და შემდგომი ინტერვენციის გზები კონკრეტული შესაძლებლობების გაძლიერების დონისძიებებისთვის. შემდგომში, უნივერსიტეტების დაინტერესებული წარმომადგენლები - ძირითადად სტუდენტები გაივლიან ტრენინგს საერთაშორისო ექსპერტებთან პრაქტიკული ცოდნის გაცვლისა და გვესოში სავლე ვიზიტების მეშვეობით. გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია გარემოს ეროვნული სააგენტოს (NEA) თანამშრომლების შესაძლებლობების გაძლიერება საფრთხის შეფასების, მონაცემთა მართვის, ანალიზისა და ინტერპრეტაციის მიმართულებებით. თემის დონეზე რისკების სისტემური გაგების ხელშეწყობის მიზნით სოფელ გვესოსთვის ჩატარდება ზემოქმედების ჯაჭვის შეფასება, რომელიც ფოკუსირებული იქნება საფრთხეებს შორის ურთიერთდამოკიდებულებაზე, მიწათსარგებლობის პრაქტიკასა (სოფლის მეურნეობაზე) და ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობაზე.

მეწყერი, წყალდიდობა და მსგავსი საფრთხეები იწვევს საზოგადოების წევრების შეზღუდულ ხელმისაწვდომობას ჯანდაცვის სერვისებზე რასაც



სხვა თანმდევი გარემოებები, როგორცაა გზების გადაკეტვა, დაზიანებები, ჯანდაცვის უზრუნველყოფის შეფერხება, ელექტროენერჯის დეფიციტი ან სუფთა წყლის ნაკლებობა, კიდევ უფრო ართულებს. კონკრეტული ურთიერთ-დამოკიდებულებების გაგება და შეფასება საშუალებას მისცემს თემისა თუ ზოგადად საზოგადოების წევრებს მიიღონ მეტი რისკზე ინფორმირებული გადაწყვეტილებები საინვესტიციო, ფინანსური თუ სოციალური დაგეგმვის პრიორიტეტებთან დაკავშირებით. კარგად გააზრებული პრიორიტეტები კი ხელს შეუწყობს რისკების ადვოკატირების პროცესის გაძლიერებას რეგიონულ დონეზე.

ზემოაღნიშნულის გარდა, GI:DRM მიზნად ისახავს საქართველოში რისკზე ინფორმირებული განვითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნის მხარდაჭერას. RID-ისთვის ხელსაყრელი გარემოს ექვს ძირითად განზომილებაზე ყურადღების ფოკუსირებით (ფინანსები და რესურსები; ცოდნა და ინფორმაცია; კულტურა და ხალხი; თანამშრომლობა და კოლაბორაცია; ორგანიზაციული შესაძლებლობები; პოლიტიკა და რეგულაციები), პროექტი RID-ის ინტეგრაციის წერტილების პოვნასა და სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების გაძლიერებას შეეცდება.

პროექტის აქტივობების ფარგლებში შემუშავდება ე.წ. RID გზამკვლევი მაღალმთიანი რეგიონებისათვის. ამ პროდუქტში მოცული იქნება რეკომენდაციები სხვადასხვა პროცესების წარმართვისთვის, მათ შორის სისტემური რისკების შეფასებისთვის, საზოგადოების დონეზე რისკზე ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებისთვისა და შესაძლებლობების გაძლიერების დონისძიებების დაგეგმვისათვის.

Published by
Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

Registered offices: Bonn and Eschborn, Germany

Global Initiative on Disaster Risk Management
Friedrich-Ebert-Allee 32 + 36
53113 Bonn, Germany
info@gidrm.net | www.gidrm.net | www.giz.de

On behalf of
Federal Ministry for Economic Cooperation and Development (BMZ)
Division 503— Peace and Security, Disaster Risk Management

BMZ Berlin Stresemannstraße 94
10963 Berlin, Germany
+49 (0)30 18 535-0 | poststelle@bmz.bund.de | www.bmz.de



The Global Initiative on Disaster Risk Management (GI:DRM) is an initiative commissioned by the German Federal Ministry for Economic Cooperation and Development (BMZ) and implemented by the Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ). GI:DRM III (2020-2023) supports selected decision-makers and regional organisations in Southern Africa, Asia and Latin America in strengthening their capacities and skills to foster risk-informed development while taking into account context-specific fragility factors.